სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

სადოქტორო პროგრამებზე მისაღები მოთხოვნები უცხო ენაში

2020-2021

აპლიკანტს გამოცდა უტარდება ერთ-ერთ უცხო ენაში:

სადოქტორო პროგრამაზე „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“:
ინგლისური, ან გერმანული, ან ფრანგული
სადოქტორო პროგრამაზე „კომპოზიცია“:
ინგლისური, ან გერმანული, ან ფრანგული
სადოქტორო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“:
ინგლისური, ან გერმანული, ან ფრანგული, ან იტალიური
სამივე სადოქტორო პროგრამაზე <u>უცხო ქვეყნის</u> მოქალაქე აბარებს ქართულ ენას

ენის ფლობის დონე: აპლიკანტს მოეთხოვება მის მიერ განცხადებაში მითითებული <u>**უცხო ენის B2**</u> [1] დონეზე ფლობა. **გამოცდა მოიცავს** წერით და ზეპირ კომპონენტებს.

დადებითი შეფასებაა: 61 - 100
შენიშვნა: *პროგრამებზე „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“ და „საშემსრულებლო ხელოვნება“* <u>*სპეციალობის გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა*</u> *უცხო ენის გამოცდაზე დადებითი შეფასების (61-100) მიღება. უარყოფითი შეფასების (0-60,9) შემთხვევაში, აპლიკანტი არ დაიშვება შემდეგ გამოცდაზე/ებზე.*

! ! ! დოქტორანტურაში ჩაბარებისას უცხო ენის გამოცდისგან თავისუფლდება პირი:

- რომელიც მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგენს უცხო ენის არა ნაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო აღიარების მქონე (TOEFL, IELTS, CAMBRIDGE) ან შეფასებისა და გამოცდების ერონული ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატს;
- რომელსაც შესაბამის ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი;

[1] (ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C 2 – შესაბამისად).